საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4892
22/06/2023

4892-21-2-202306221649

შპს „მაღარო კაპიტალს“
მის: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ა. ბელიაშვილის ქ. N100
ელ.ფოსტა: magharocapital@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ 2023 წლის 18 აპრილს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N3256 განცხადება, რომელიც ეხება შპს „მაღარო კაპიტალის“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ. ბოდბისხევში სამელიორაციო სისტემისა და 130000 $მ^3$ მოცულობის წყლის რეზერვუარის მოწყობა-ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კერძოდ, რეზერვუარისა და სალექარის გეგმაზე (დანართი-ფურცელი N1) დატანილი უნდა იყოს წყალაღების წერტილი, სათავე კვანძის (სატუმბი სადგურის) და სხვა შენობა-ნაგებობების პარამეტრები. ასევე, აუცილებელია საკომუნიკაციო საშუალებების: სალექარის (დამწნეხი) წყალმომარაგების, გადამღვრელის (ავტომატური წყალსაგდების) და დამცლელი მილების (დიამეტრი, სიგრძე, მასალა) პარამეტრების ჩვენება;
- დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს დამატებითი ინფორმაცია დამცლელის შესახებ. კერძოდ, სალექარის გარეცხვის მიზნით, შემდგომი ექსპლუატაციის გასამარტივებლად და რწყვის დროს გაწმენდითი სამუშაოების ჩატარების აუცილებლობის შემთხვევაში, სალექარის დამცლელის მოწყობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ, გზშ-ის ანგარიშის თანახმად, CAT 428 ექსკავატორ-დამტვირთველის მეშვეობით მოხდება რეზერვუარის გაწმენდა. გეომემბრანის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია სალექარის გაწმენდის აღნიშნული მეთოდის გამოყენების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშის დანართში - რეზერვუარის კვეთებში არ არის ნაჩვენები რეზერვუარის გრუნტის გეოლოგია და ზვინული დამბების გრუნტის შედგენილობა. არ არის მოცემული რა პრინციპით არის განთავსებული დამბის წყალგაუმტარი კბილი მისთვის განკუთვნილ ქვაბულში, ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონიძიებები, გეომემბრანის აღნიშვნა, არ არის დატანილი

რეზერვუარში წყლის მაქსიმალური და მინიმალური დონეები. 2-2 და 4-4 კვეთებში არ არის ნაჩვენები კომუნიკაციების გრაფიკული გამოსახულება ან მათი აღმნიშვნელი ღერძის ხაზი ტექსტური განმარტებით მაინც. 9-9 კვეთშიც არ არის დატანილი დამცლელი და წყალმომარაგების (წყალგამშვები) მილი თავისი კომუნიკაციებით ნაჩვენები, რაც საჭიროებს დაზუსტებას;

- გზშ-ის ანგარიშის დანართში - ფურც. N7-ზე დატანილი უნდა იყოს მილების დანიშნულება და წყლის მოძრაობის მიმართულება. დასაზუსტებელია უჟანგავი ფოლადის ცხაურის ტიპისა (ნახაზით) და საავარიო ფსკერული დასაცლელი მოწყობილობის შესახებ ინფორმაცია. ცხაურის ხვრეტების ინტენსივობა და გამტარუნარიანობა მოითხოვს, დაზუსტებას როგორც გრაფიკულად, ასევე გაანგარიშებით;
- ვინაიდან ფერდების მოსაწყობი მასალა უნდა აკმაყოფილებდეს წყალგაუმტარობას, ხოლო მისი მდგრადობა განპირობებულია მისი დახრის კუთხით, რაც უზრუნველყოფილია გრუნტის შიგა ხახუნის კუთხით და შეჭიდულობით (გაჟღენთის შემთხვევაში), ასევე გრუნტის მინერალოგიური შედგენილობით, რომ ატმოსფერულმა ნალექებმა არ დააზიანონ გარე ფერდები. ყოველივე აღნიშნულის შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანია მემბრანის დაზიანების შემთხვევაში ავარიული პრეცედენტის თავიდან აცილების მიზნით, ან მდგომარეობის გამოსწორებამდე შესაბამისი პრევენციული ღონისძიებებისათვის საჭირო დრომდე მდგრადობის შენარჩუნებით;
- დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს კავიტაციური მოვლენების თავიდან ასარიდებლად და ტუმბოს ნორმალური ფუნქციონირების მიზნით, წყალსატარ (დამწნეხ) მილზე წყალმიმწოდი მილის შესაბამისი დიამეტრის ავტომატური ვანტუზის მოწყობის შესახებ ინფორმაცია. ასევე, დასაზუსტებელია ტუმბოს ტიპი, კლასი და შენობის ტიპი, საიდანაც უნდა მოხდეს წყლის აღება;
- გეომემბრანის მოწყობის საკითხი განხილული უნდა იყოს სალექარის მთელ შიდა პერიმეტრზე კუთხეებში ჯიბეების გათვალისწინებით, რომ არ მოხდეს გეომემბრანის დაზიანება. ასევე მოცემული უნდა იყოს წყალმიმღებ და დამცლელ ნაგებობებში შემსვლელი და გამსვლელი ნაგებობების შესაბამისი კბილით ფერდში ჩამაგრების საკითხი, ხოლო ჰაერის ბალიშის და სხვა მოვლენების თავიდან არიდების მიზნით, დამწნეხი მილის უმაღლეს წერტილში ვანტუზის მოწყობის საკითხი;
- მონიტორინგის გეგმაში უნდა აისახოს წყალსაცავთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოების დასრულებამდე სამონიტორინგო დაკვირვების (საველე კვლევის სახით) ჩატარების საკითხი, პროექტის გავლენის ზონაში (მათ შორის ზურმუხტის ქსელის საიტის კოწახურა - GE00000051 ტერიტორიაზე) არსებული მცენარეების, ცხოველების, ფრინველების (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებით და საქართველოს "წითელ ნუსხით" დაცულ სახეობებზე) და ჰაბიტატების მდგომარეობის დამატებითი შეფასების მიზნით. აღნიშნულ გეგმაში ცალკე საკითხად უნდა იყოს გათვალისწინებული შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობაზე დაკვირვება, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ქმედებების დაგეგმვა - განხორციელების მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ფრინველებზე და მასზე ზემოქმედებაზე;

- ვინაიდან მდ. იორი წარმოადგენს წავის გავრცელების პოტენციურ ჰაბიტატს, მონიტორინგის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს მასზე და საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებულ წითელი ნუსხით დაცულ სხვა სახეობებზე, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს მონიტორინგის გეგმაში. ამასთან მონიტორინგის გეგმაში, ექსპლუატაციის ეტაპისთვის აისახოს ბიოლოგიურ გარემოზე (მათ შორის ფრინველებზე) დაკვირვების სააგენტოსთან ანგარიშგების პერიოდულობის საკითხი;

გთხოვთ, ორი თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სააგენტოში. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ნინო თანდილაშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო